



12810-04-11-2-202012281011



N 04-11/12810

28/12/2020

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს  
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ ლევან დავითაშვილს

### რეკომენდაცია

**(ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში, ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე  
განთავსებულ სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით)**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ჯაბა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარეობს საქმისწარმოება მოქალაქეთა #6454/20 კოლექტიური განცხადების საფუძველზე, ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში, ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე განთავსებულ სახიფათო ნარჩენებთან დაკავშირებით.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკითხის შესწავლის მიზნით სათანადო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მოწოდების მოთხოვნით, რამდენიმე წერილით<sup>1</sup> მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინამდებარე შემთხვევაში მოქალაქეთა ჯანსაღ და უვნებელ გარემოში

<sup>1</sup>საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის #04-11/6190, #04-11/7271, #04-11/8994, #04-11/7270 წერილები.

ცხოვრების უფლების რეალიზაცია სახელმწიფოს მხრიდან დროული და ეფექტური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

## 1. ფაქტობრივი გარემოებები

ქ. ბათუმი, თამარის დასახლებაში არსებული ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიაზე, რომლის მესაკუთრეც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროა, ღია წესით, თხრილებში განთავსებულია 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენი.<sup>2</sup>

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 27/12/2018, #008912818 დასკვნის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.18.055, 40 547 კვ.მ. და 05.30.18.039, 128 002 კვ.მ) ნავთობპროდუქტების გადამამუშავების შედეგად დაგროვილია გამყარებული მჟავე გუდრონები.

2018 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, მოსახლეობის საჩივრის საფუძველზე, განხორციელდა შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს<sup>3</sup> საქმიანობისა და საწარმოს ტერიტორიის ინსპექტირება.<sup>4</sup> შედეგად, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს მიმართ 2018 წლის 15 მარტს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.<sup>5</sup> თუმცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის №4-635-2018 დადგენილებით შეწყდა საქმე სამართალდარღვევის არ არსებობის გამო, სააპელაციო სასამართლომ კი ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება.

კერძოდ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის დადგენილების თანახმად, სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული სახიფათო ნარჩენები წარმოიქმნა გასულ საუკუნეში, (ზუსტი თარიღი უცნობია), სავარაუდოდ, ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მიერ. ამასთან, დადგენილია, რომ აღნიშნული ქარხნის ტერიტორიის ნაწილი გადაცემული აქვს შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს, ტერიტორიის ნაწილი გასხვისებულია სხვადასხვა პირებზე. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ წარმოადგენს ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სამართალმემკვიდრეს, რომელსაც თავის დროზე გადაეცა ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აქტივები და პასივები, ხოლო სახიფათო ნარჩენების გადაცემა ამ კომპანიისთვის რაიმე ფორმით არ მომხდარა და ამდენად, არ არის მის ბალანსზე. სასამართლოს განმარტებით, ასევე დადგენილია, რომ ათეული წლების განმავლობაში სახიფათო ნარჩენები განთავსებულია მიწის

<sup>2</sup> სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის DES 9 20 00035973, 26/06/2020 წერილი.

<sup>3</sup> კომპანიის 100%-იანი წილის მესაკუთრეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, იგი სახელმწიფო საწარმოს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს და აღნიშნული ქარხნის ტერიტორიის ნაწილი გადაცემული აქვს შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს.

<sup>4</sup> სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის DES 9 20 00035973, 26/06/2020 და DES 9 20 00045350, 06/08/2020 წერილები.

<sup>5</sup> საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის 42-ე მუხლითა და 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლებიც გულისხმობს კომპანიის მიერ ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან/და ამ გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განუხორციელებლობა.

ნაკვეთზე, რომლის მესაკუთრეა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. სასამართლოს მითითებით, ასევე უდავოა ის გარემოება, რომ შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ არ ახდენს ნავთობპროდუქტების გადამამუშავებას და აღნიშნული ნარჩენი მისი საქმიანობის შედეგად არ წარმოქმნილა. ამდენად, სასამართლომ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს მიმართ.

ამასთან, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 13 სექტემბერს, შპს "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა"-ს მიმართ, კვლავ შედგა ოქმი, ამჯერად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.<sup>6</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 2019 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით, შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“ სცნო სამართალდამრღვევად, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 14 თებერვლის დადგენილებით შპს „ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა“-ს მიმართ კვლავ შეწყვიტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, სასამართლომ მიუთითა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 19 აპრილის №4-635-2018 გადაწყვეტილებით დადგენილ და ზემოთ აღწერილ გარემოებებზე.

მეორეს მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს N01-01-10/3158, 20/08/2020 წერილით გვეცნობა, რომ საქართველოში არ აღმოაჩნდა კომპეტენტური ორგანო, რომელიც უზრუნველყოფდა მოცემული ტერიტორიის გაწმენდას და არსებული ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას, ამიტომ საჭირო გახდა საერთაშორისო გამოცდილების მქონე უცხოელი ექსპერტების ჩართულობა. სახალხო დამცველის აპარატმა დამატებით სცადა უწყებიდან უფრო კონკრეტული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღება<sup>7</sup>, კერძოდ, თუ რომელ დონორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს უწყება წინამდებარე პრობლემის მოგვარების მიზნით, კონკრეტულად როდის იგეგმება ტერიტორიის ნარჩენებისგან გასუფთავების გეგმის შემუშავება და ამ დროისათვის რა ღონისძიებები იგეგმება/ტარდება ამ მიმართულებით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საპასუხო წერილიდან<sup>8</sup> კვლავ ზოგადად განგვემარტა მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ.

## 2. სამართლებრივი გარემოებები

---

<sup>6</sup> გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობები, მათ შორის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა, რომელთა განხორციელებაც 2015 წლის 1 ივნისამდე დაიწყო და რომლებსაც არა აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ან მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, საჭიროებს სამინისტროს მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას.

<sup>7</sup> საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის #04-11/8994, 14/09/2020 წერილი.

<sup>8</sup> აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საპასუხო წერილი #01-01-10/3815 29/09/2020

საქართველოს კონსტიტუციის<sup>9</sup> თანახმად, ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით; ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული უფლება თავისი არსით სოციალური სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს და საქართველოს კონსტიტუციაც გარემოს დაცვას ამ პრინციპის ერთ-ერთ ფუნდამენტად განიხილავს.

10

დღეისათვის, გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის პირდაპირი ფუნქციური კავშირის არსებობა ფართოდ<sup>11</sup> არის აღიარებული და მას უნივერსალური მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანის არსებობისა და მომავალი თაობებისათვის.<sup>12</sup> საერთაშორისო საზოგადოებისთვის სულ უფრო პრიორიტეტული ხდება ეკონომიკური, სოციალური და გარემოს დაცვითი განზომილებების დაბალანსება, რასაც ადასტურებს გაეროს მიერ 2015 წელს რეზოლუციით მიღებული 2030-ის დღის წესრიგიც მდგრადი განვითარებისთვის (SDG), რომელიც უნივერსალური და გლობალური დოკუმენტია და საქართველომ სხვა არაერთ ქვეყანასთან ერთად აიღო ვალდებულება ახალი დღის წესრიგით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესრულების კუთხით.

როგორ უკვე აღინიშნა, გარემოსდაცვითი საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან. განსახილველ შემთხვევაში, ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების თვალსაზრისით, საყურადღებოა ასევე, გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიდგომა სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან მიმართებით. კომიტეტის სათანადო საცხოვრებელს განიხილავს როგორც „უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ პირობებში ცხოვრებას“<sup>13</sup> სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტმა ასევე განმარტა სათანადო საცხოვრებლის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, რომელთა შორისაც მოიაზრება, რომ საცხოვრებელი სახლი არ უნდა მდებარეობდეს დაბინძურებულ ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე, რათა საფრთხე არ შეექმნას ადამიანის ჯანმრთელობას; სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე ხელმისაწვდომობა ასევე ხსენებული კრიტერიუმების შემადგენელი ნაწილია.

სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკის თანახმად, ნარჩენების სწორი მართვა და ნარჩენებით დაბინძურების პრევენცია ქვეყნის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. უკანონოდ განთავსებული საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები ან შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინების გარეშე მოწყობილი ნაგავსაყრელები აბინძურებს ნიადაგსა და წყალს, ხოლო

<sup>9</sup> საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი.

<sup>10</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხ. მე-5 პუნქ.

<sup>11</sup> მაგ: ადამიანის გარემოს შესახებ 1972 წლის სტოკჰოლმის დეკლარაციის პირველი პრინციპი; რიო-დე-ჟანეიროს დეკლარაციის პირველ პრინციპი; ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული (ბანჯულის) ქარტიის 24-ე მუხ., სან სალვადორის ამერიკული კონვენციის მე-11 მუხ.; 1979 წელს გარემოსა და ადამიანის უფლებებზე ჩატარებულ პირველ ევროპულ კონფერენცია (სტრასბურგი); ერთი წლის შემდეგ, ადამიანის უფლებების შესახებ რიგით მეორე კონფერენციაზე (ვენა); 1999 წელს გარემოს დაცვის შესახებ იუნესკოსა და გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისიის საერთაშორისო სემინარი (ბილბაო); გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს 2012 წლის რეზოლუცია ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის თაობაზე.

<sup>12</sup> ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2015, გვ:590-დან.

<sup>13</sup> სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის №4 ზოგადი კომენტარი, 1991.

ორგანული ნარჩენების ლპობის შედეგად წარმოქმნილი მეთანი, ხელს უწყობს კლიმატის ცვლილების პროცესს. უკონტროლო და სტიქიური ნაგავსაყრელები ესთეტიკურ პრობლემასთან ერთად, წარმოადგენს სხვადასხვა დაავადებების გავრცელების პოტენციურ წყაროს.<sup>14</sup>

ამასთან, სახიფათო ნარჩენების მართვა ეროვნული მნიშვნელობის საკითხად არის მიჩნეული და ვინაიდან, სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენის სათანადო მართვისათვის მნიშვნელოვანია სპეციალური გამოცდილება, სახელმწიფოს მიერ აღიარებულია თანამედროვე ცენტრალური სისტემის ჩამოყალიბების საჭიროება. სახიფათო ნარჩენების მართვის ოპტიმიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობასაც, რაც გარემოსათვის უსაფრთხო გზით სახიფათო ნარჩენების ერთობლივ მართვას ხდის შესაძლებელს. ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას ქვეყანაში სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის არარსებობა წარმოადგენს და სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის გაწერილი ვალდებულებაა.<sup>15</sup>

საერთაშორისო ვალდებულებებისა და ქვეყანაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ,<sup>16</sup> ნარჩენების მართვის სფეროში წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს ნარჩენების კოდექსი,<sup>17</sup> რომლის ამოცანაა გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, რაც უნდა განხორციელდეს სამი გზით: ნარჩენების წარმოქმნის და მათი უარყოფითი გავლენის პრევენციით ან შემცირებით; ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნით; რესურსების მოხმარებით გამოწვეული ზიანის შემცირებით და რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენებით.<sup>18</sup> ამავე კოდექსის თანახმად, სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, შეგროვება და ტრანსპორტირება, აგრეთვე მათი დამუშავება და დასაწყობება ისე უნდა განხორციელდეს, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა. ხოლო თუ საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს სახიფათო ნარჩენების დამუშავების ტექნიკური ან/და ტექნოლოგიური შესაძლებლობა, სახიფათო ნარჩენების დამუშავებისათვის უნდა განხორციელდეს მათი ექსპორტი.<sup>19</sup> ექსპორტის განხორციელებამდე სავალდებულოა ამ კოდექსით დადგენილი წესით სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო დასაწყობება დროებითი შენახვის ობიექტზე. აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება<sup>20</sup> და სამინისტროს ამოცანაა სახიფათო ნარჩენების მართვის კოორდინაცია.<sup>21</sup>

<sup>14</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის #1124 განკარგულება „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“, გვ:58.

<sup>15</sup> საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის #160 დადგენილება „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

<sup>16</sup> საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების თანახმად, უნდა უზრუნველყოს და შეიმუშაოს ნარჩენების მართვის ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

<sup>17</sup> საქართველოს ნარჩენების კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>18</sup> იქვე, მე-5 მუხლი.

<sup>19</sup> იქვე, მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>20</sup> იქვე, მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტი; ამასთან, სამინისტრო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად არეგულირებს ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვას „ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო

სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი<sup>22</sup> სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს, რომ დროებით შენახული სახიფათო ნარჩენები სათანადოდ უნდა შეიფუთოს, რათა შემცირდეს ნარჩენების სახიფათო თვისებების გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. სახიფათო ნარჩენების მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების შეფუთვა ისეთი საშუალებით, მათ შორის, მყარი და ნახევრად მყარი ნარჩენებისთვის - კონტეინერებით და თხევადი ნარჩენებისთვის - ავზებით, რომლებიც რეზისტენტულია მასში მოთავსებული ნარჩენების მიმართ.

როგორც წინამდებარე შემთხვევაში ირკვევა, ქ. ბათუმში, თამარის დასახლებაში, თხრილებში ღია წესით განთავსებულია ნავთობრპოდუქტების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენი. მოსახლეობის განმარტებით, 2013 წლიდან აქტიურად ითხოვენ აღნიშნული ნარჩენების გატანას, ვინაიდან, აღნიშნული საფრთხის შემცველია მათი ჯანმრთელობისა და საცხოვრებელის გარემოსათვის, თუმცა მათ მოთხოვნას დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. მათივე განმარტებით, სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებული შიშის ქვეშ უწევთ ცხოვრება, როცა მაღალია რისკი ფოიერვერკის აქტიურმა გამოყენებამ გამოიწვიოს ნარჩენების აალება და მასშტაბური ხანძარი. ამასთან, მოქალაქეები ჩივიან, ნარჩენებისგან გამოწვეული მძიმე სუნთან დაკავშირებითაც, რაც ასევე, აბრკოლებს ტურიზმის განვითარებას.

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, ერთის მხრივ, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა სასამართლოს გადაწყვეტილებების გათვალისწინებით ვერ გამოიღო პოზიტიური შედეგი, ხოლო მეორეს მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ამ დრომდე, არ გატარებულა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭირო ხელშესახები ღონისძიებები. არსებული რეალობა კი განგრძობითად უქმნის საფრთხეს როგორც ეკოლოგიას, ასევე ადამიანების უფლებას იცხოვრონ ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, რაც დაუშვებელია. სახალხო დამცველი იაზრებს ნარჩენების, განსაკუთრებით კი სახიფათო ნარჩენების მართვის თვალსაზრისით ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, თუმცა გაუმართლებლად მიაჩნია წლების განმავლობაში მოსახლეობის კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფა და ხელყოფა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წინამდებარე შემთხვევაში მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელსაც უპირველესად მოეთხოვება გარემოსა და მოსახლეობაზე ზრუნვისკენ მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, გარემოსთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ვალდებულებაც. აღნიშნული ინფორმაციის მიღება მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა, გარემოს დაცვაზე ზრუნვის უფლებასთან ერთად. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს ნებისმიერი მატერიალური ფორმით წარმოდგენილ ყველა სახის ინფორმაციას მათ შორის, ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები, პროგრამები, გარემოსდაცვითი

---

გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენციის მოთხოვნებისა და პროცედურების გათვალისწინებით; იქვე, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>21</sup> საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის #112 დადგენილება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების თაობაზე.

<sup>22</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის #145 დადგენილებით.

შეთანხმებები, და საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ მოახდენს ამ მუხლის „დ<sup>2</sup>.ა“<sup>23</sup> და „დ<sup>2</sup>.ბ“<sup>24</sup> ქვეპუნქტებში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ფაქტორებზე, ასევე იმ ღონისძიებებსა და საქმიანობებზე, რომლებიც განკუთვნილია ამ ელემენტების დასაცავად. ამდენად, მოქალაქეთა უფლებას წარმოადგენს იყენონ ინფორმირებულები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანიც არსებული ეკოლოგიური პრობლემების გამოსასწორებლად და გარემოს დასაცავად არის მიმართული. განსახილველ შემთხვევაში როგორც მოქალაქეებისთვის, ასევე აპარატისთვის არ არის ცნობილი სახელმწიფოს მხრიდან ქ.ბათუმში, თამარის დასახლებაში არსებული ეკოლოგიური პრობლემის აღმოსაფხვრელად გადადგმული თუ დაგეგმილი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია. რაც კიდევ უფრო საგანგაშოა მოსახლეობის წინაშე მდგარი გამოწვევის სიმწვავისა და მასშტაბურობის გათვალისწინებით, რომელიც მრავალი წელია ვერ აღმოიფხვრა და მოქალაქეთა მოთხოვნამ ხელშესახები შედეგები ამ დრომდე ვერ გამოიღო.

სახალხო დამცველს, ასევე მიაჩნია, რომ უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ეკოლოგიურ უფლებებთან ერთად, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს ადგილობრივი მოსახლეობის სწრაფვა განავითარონ თავიანთი საკუთრება ტურისტული მიზნებით და გაიუმჯობესონ სოციალური მდგომარეობა. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივების სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების გათვალისწინება, მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

\*\*\*

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის მიზნით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოგმართავთ რეკომენდაციით:

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს:**

- უმოკლეს ვადაში განხორციელდეს ყველა საჭირო და ეფექტური ღონისძიება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კოორდინაციით, ქ.ბათუმში, თამარის დასახლებაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სახიფათო ნარჩენების მართვისა და მისი განთავსებით გამოწვეული მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით;

<sup>23</sup> დ<sup>2</sup>.ა) გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა, როგორებიცაა ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი, ბუნებრივი ობიექტები, მათ შორის, ჭაობი, სანაპირო ზოლი და საზღვაო ტერიტორია, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ჩათვლით, და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

<sup>24</sup>დ<sup>2</sup>.ბ) ფაქტორები, როგორებიცაა ენერჯია, ხმაური, რადიაცია, აგრეთვე ნარჩენები, მათ შორის, რადიოაქტიური ნარჩენები, ქიმიური ნივთიერებები, ემისიები და სხვა სახის დაბინძურება, რომლებიც გავლენას ახდენს ან, სავარაუდოდ, მოახდენს „დ<sup>2</sup>.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე.

- ამასთან, უზრუნველყოფილ იქნა თითოეულ დაგეგმილ და გადადგმულ ნაბიჯთან დაკავშირებით მოქალაქეთა დროული და ამომწურავი ინფორმირება.

წინამდებარე რეკომენდაციასთან დაკავშირებით თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ, გთხოვთ, მაცნობოთ საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

